ოცდამეერთე ფურცელი

07.10.02. დიმა სკოლიდან უკმაყოფილო დაბრუნდა: სადილზე იაპონურად დამზადებული თევზი აჭამეს, რომელიც გამოუშიგნავად მზადდება და იაპონელები ასევე მთლიანად მიირთმევენ, სანმა ეწოდება. ჰოდა, ჩვენს ვაჟკაცს არ მოეწონა გემო, კინაღამ ცუდად გავხდიო. ნატომ აუხსნა რომ ასეთი თევზი ტვინისთვისაა სასარგებლო.

“- მამა თუ სჭამს ასეთ თევზს?“ დასვა დიმამ კითხვა.

“-არა, მამას არ უყვარს”, ვერ მოიტყუა ნატომ, “მაგრამ, მამას ისედაც ბევრი ტვინი აქვს და არ ჭირდებაო.”

“- 147 რომ 265 მივუმატოთ რამდენი იქნება იცის მამამ?” ეკითხება დიმა.

“- დიახაც იცის,” დაუდასტურა ნატომ.

“- 349-ს რომ 244 გამოვაკლოთ, ოთხზე გავამრავლოთ და მერე 766 დავუმატოთ ეგეც იცის?” არ მოეშვა დიმა.

“- კი, ესეც იცის!” დაუდასტურა დედამ.

“- აბა მაშინ მართლაც არ ჭირდება ეს თევზი!” წამიერი ჩაფიქრების შემდეგ ასკვნის დიმა.

12.05.03. დიმამ ისწავლა “მოდი ვნახოთ ვენახი”. მე ვუკითხავდი საღამოთი, ძილის წინ. დაინტერესდა, დაწვრილებით ამახსნევინა ყველაფერი და დამახსოვრება გადაწყვიტა. სტრუქტურა და აზრი საკმაოდ კარგად დაიმახსოვრა. ხანდახან ესა თუ ის სიტყვა დაავიწყდება (თოფი, მგელი და მისთ), დანარჩენი იცის.

როდესაც მიხვდა რომ ქართული ლექსი ისწავლა, გადაწყვიტა ეს მიღწევა ფართო მასებისთვის ემცნო. დაიწყო რასაკვირველია, მერიკოთი, მერე ანას მოუყვა, ნატოს რასაკვირველია, მერე თბილისელებზე გადავიდა. ტელეფონით ამცნობებდა ამ ისტორიას ავთო-ბაბუს, ლეილა-ბებოს. თორნიკეს... რაც კი ტელეფონები ვიცოდით თბილისში ყველაზე დაგვარეკინა. ძალიან სერიოზულად, გამოთქმით, მონდომებით

ამბობს. თუ რაიმე შემთხვევით გამორჩა, თავიდან იწყებს. მოკლედ ნახევარი ხელფასი ვენახმა შეგვიჭამა...

16.08.03. ნატომ და მარიამმა (იაპონიაში მომუშავე, ჩვენი ნაცნობი ქართველი) განუწყვეტლივ ილაპარაკეს ექვსი (6) საათი. ვაცილებთ მარიამს სახლში მანქანით.
"- აი ასეთი ამბებია ჩემო მარი!" აცხადებს ნატალია, მე მგონი უფრო სიტყვის მასალად ვიდრე რამეს კონკრეტულს გულისხმობდა.
"- ძალიან კარგი ამბავია , ჩემო ნატო!" პასუხობს მარიამი ავტომატურად, არც უფიქრდება რაზეა ლაპარაკი.
"- ეჰ, კარგია თუ ცუდი არ ვიცი, მაგრამ ასეთია..." აგრძელებს ლაპარაკს ნატო.
აქ მე უკვე ვეღარ გავუძელი ასეთ შინაარსიან კამათს და სიცილი წამსკდა...

02.12.03. ნატო დიმას აძინებს. მოუყვა რაღაც ისტორიები, მერე ზღაპრები. დიმას ისევ ღვიძავს. მათემატიკა გააკეთებინა, გამრავლებაში გაავარჯიშა, მაინც ღვიძავს. ნატო ეუბნება:
"- მე როდესაც ვიძინებ, ჩემთვის ჩუმად რაღაცაზე ვფიქრობ და ნელ-ნელა მეძინება".
"- ნეტა რა გაქვს საფიქრელი", პასუხობს დიმა, "ქმარი გყავს, ბავშვები გააჩინე, აბა ქალმა მეტი რაზე შეიძლება იფიქრო?"